სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სასმელი წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული), სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სასმელი წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესება.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი და პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1.პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ, ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 57 000-ს არ აღემატება (შემდგომში "ბენეფიციარი").

2.მოსარგებლე პირთა პროგრამასთან შესაბამისობას განსაზღვრავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოსა" და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ მოწოდებული ბაზების საფუძველზე.

3.პროგრამით გათვალისწინებულ ბენეფიციართა მაჩვენებელი შეიძლება შეიცვალოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ბაზებში შესული ცვლილებების საფუძველზე.

4.გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

შპს "რუსთავის წყალთან" ანგარიშსწორება ხორციელდება:

ა)გაუმრიცხველიანებელი აბონენტებისთვის - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაბამისი სამართლებრივი აქტით 2018 წლისთვის განსაზღვრული სასმელი წყლის ზღვრული ტარიფის საფუძველზე, შპს "რუსთავის წყლის" მიერ მოწოდებული ტარიფის შესაბამისად სულზე არაუმეტეს შპს "რუსთავის წყლის" მიერ მოწოდებული ტარიფებისა.

ბ)გამრიცხველიანებული აბონენტებისთვის სულზე არაუმეტეს 3.00 (სამი) ლარის ოდენობით.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

1.სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სასმელი წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესების პროგრამის ბიუჯეტია 120 000,00 (ასოცი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, მათ შორის 2017 წლის დეკემბრის ხარჯისათვის გათვალისწინებულია 10 000,00 (ათი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი.
პროგრამის ბიუჯეტი კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	120 000,00 ლარი
I კვარტალი	37 500,00 ლარი
II კვარტალი	27 500,00 ლარი
III კვარტალი	27 500,00 ლარი
IV კვარტალი	27 500,00 ლარი

2.პროგრამის მოსარგებლეთა რაოდენობა ყოველთვიურად შესაბამისობაში მოდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოსა" და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ მოწოდებულ ბაზებთან. მოწოდებული ბაზის ყოველთვიური განახლების საფუძველზე ცვლილება შეიძლება შევიდეს პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობაში, რაც გამოიწვევს ცვლილებას ანგარიშსწორებისას.

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული) სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სასმელი წყლის გადასახადის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი